იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 70 „11" „დეკემბერი" 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 გადაწყვეტილების დანართ N2–სა (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სისხლის სამართლის საქმეებზე) და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N19 გადაწყვეტილების დანართ N2–ში (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე) ცვლილებების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ცვლილება შევიდეს „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 გადაწყვეტილების დანართ N2–სა (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სისხლის სამართლის საქმეებზე) და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N19 გადაწყვეტილების დანართ N2–ში (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე) რეესტრის მენეჯერი, ჩანაცვლდეს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოთი, ხოლო ხელმომწერ პირებად განისაზღვრონ:

„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს უფროსი;

ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი."

2. გადაწყვეტილება ძალაშია 2020 წლის პირველი იანვრიდან.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: თეა ჭეიშვილი

საბჭოს წევრები: რამაზ ჩინჩალაძე

პავლე აბაიაძე

ირაკლი გვარამაძე

თამარ გვარამაძე

ზაზა ხარებავა

ფატმან არზიკიანმა და სოფიო ჩაჩავამ გამოხატეს სატელეფონო თანხმობა.